ამონაწერი
საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის სხდომის ოქმიდან

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №16
(ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის გაგრძელება)

ქ.წალენჯიხა 2022 წლის 28 იანვარი

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე: კორნელი სალია
საკრებულოს 27 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, დავით ბელქანია, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, სოლომონ სარია, ზაზა უბილავა, დათა კუკავა, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, გიორგი დარსალია, ნანა ლემონჯავა.

ასევე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ხარჩილავა, მერის მოადგილეები: ლაშა ზარქუა, თამარ ბელქანია, საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 14:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე კორნელ სალიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადება, რომელიც ეხებოდა საკრებულოში თანამდებობის პირებთან მიმართებაში განხორციელებულ შემდეგ ცვლილებებს :

1. მიმდინარე წლის 25 იანვარს საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულიქნა ავთანდილ გაბელია, რომელიც იმავე დღეს გადადგა ფრაქცია ‘‘ერთიანი ნაციონალური მოძრაობის‘‘ თავმჯდომარის თანამდებობიდან.

2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის‘‘ თავმდომარედ 2022 წლის 25 იანვარს არჩეულიქნა მამუკა მიქავა, რომელიც გადადგა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის‘‘ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან, ხოლო აღნიშნული თანამდებობა (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) დაიკავა დათო მესხიამ.

დღის წესრიგი

დღის წესრიგი

14. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის თაობაზე.

მომხსენებელი: კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

15. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მოისმინეს: 14. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკრებულოს წარუდგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

1.იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია:

ა) თენგიზ ფიფია
ბ) მაია მიქავა
გ) გიორგი დარსალია
დ) რომან კვარაცხელია
ე) მამუკა მიქავა

2. საფინანსო - საბიუჯეტო კომისია:

ა) ბესიკ ფარცვანია
ბ) სოლომონ სარია
გ) გონერ კვარაცხელია
დ) ბაჩანა ქანთარია
ე) ირაკლი სალია

3. სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:

ა) დავით ბელქანია
ბ) ზაზა უბილავა
გ) გელა აბულაძე
დ) ავთანდილ გაბელია
ე) ომარ ქარდავა

4. სოციალურ საკითხთა კომისია:

ა) მანანა ჭანია
ბ) დარეჯან დადიანი
გ) ნანა ლემონჯავა

დ) რაისა ჩანგელია
ე)დათო მესხია

5. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:
ა) დათა კუკავა
ბ) ნანა კეკუა
გ) გონერ კვარაცხელია
დ) თემურ ქარდავა
ე) ეკა სამუშია

აღნიშნული საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

მოისმინეს: 10. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ.

საკითხის განხილვის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას საკითხთან დაკავშირებით განუმარტა, რომ კომისიის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ირჩევს საკრებულო თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა ერთ მეხუთედს და საკრებულოს ფრაქციას. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. რის შემდეგაც მოუწოდა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატურები.

პროტესტის ნიშნად კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრებმა.

1.1) **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.**

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ დასახელებულიქნა ბაჩანა ქანთარიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 16 წევრმა.

ბაჩანა ქანთარიას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 15 საკრებულოს წევრმა, ბათილი-1 ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება საკრებულოს **საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა** კომისიის თავმჯდომარედ ბაჩანა ქანთარიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N7).

1.2) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ დასახელებულიქნა თემურ ქარდავას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 16 წევრმა.

თემური ქარდავას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 15 საკრებულოს წევრმა, ბათილი - 1 ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება მუნიციპალიტეტის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე თემური ქარდავას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N8).

1.3) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და **ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ დასახელებულიქნა ომარ ქარდავას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 16 წევრმა.

ომარ ქარდავას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 15 საკრებულოს წევრმა, ბათილი - 1 ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ომარ ქარდავას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N9).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია